საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 242 სამშაბათი, 28 მაისი 1918 წ. № 242

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მანე., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადუქნა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირებს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

კვირას, 26, მაისს ნაშუადღევის 5 საათზე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას.

ტფილისი. 28 მაისი 1918 წ.

თავისუფალი საქართველო.

სეიმმა თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა და მისი ადგილი დაიჭირა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც თავის პირველ ისტორიულ სხდომაზე სასახლის დარბაზში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის ერთა შორის არ არსებობს სასურველი და კავკასიის ყველა ერისთვის ხელსაყრელი მთლიანობა, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთი კავკასიის მაჰმადიანთა თანაგრძნობით ოსმალეთმა შესძლო წინ წაწევა და ფაქტიური ოკუპაცია ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილისა,—უკვე ცხადი გაჰხდა ყველასთვის, რომ საქართველო დიდს ხიფათში ჩავარდებოდა, თუ თავის თავს თითონ არ მოუვლიდა. საქართველომ თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. მაგრამ ამ დამოუკიდებლობას განმტკიცება და დაცვა უნდა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს საქართველოს თავის დაცვა ეხლა უფრო გაუჭირდება, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი ამიერკავკასიის ნაწილს შეადგენდა. მართალია ამიერკავკასია ტერიტორიალურად უფრო დიდია საქართველოზე, მაგრამ ეს ვრცელი ტერიტორია გაცილებით ნაკლებ საომარ მასალას იძლეოდა და ისიც, რაც იყო, უფრო ხელის შემშლელ პირობებსა ჰქმნიდა, ვიდრე ხელის შემწყობს.

დღეს საქართველო ერთს პოლიტიკურს მთელს წარმოადგენს და ამან ერთის ნებისყოფით უნდა აამოძრაოს მთელი საქართველო. მტერი რკალივით შემოერტყა საქართველოს. ხსნა მხოლოდ ჩვენს ხელთ არის. თუ გამოვიჩინეთ უნარი თავის დაცვისა და ხალხი გმირულად დაუხვდა შემოსეულ მტერს, თუ მთელი საქართველო ერთის ფიქრითა და ერთის გრძნობით გაიმსჭვალა, თუ თავზედ მტერს წინ დაუყენეთ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა, იგი იძულებული გაჰხდება ქედი მოიხაროს და თავის უზომოდ გაღვიძებული მადა შეიმოკლოს.

ქართველ ხალხს ისტორიულადა აქვს გადმოცემული მამაცობა. იგი უბრძოლველად თავის სამშობლოს არავის დაუთმობს. საქართველოს მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს და თოფ-ქვეშ დააყენოს იმდენი ძალა რამდენიც საკმარისი იქნება საზღვრების დასაცავად და რამდენის წესიერ ორგანიზაციასაც შესძლებს ჩვენი ნორჩი სახელმწიფო.

მნიშვნელობა იმდენად ჯარის სიმრავლეს არა აქვს, რამდენადაც მტკიცე ორგანიზაციას ფრონტსა და ზურგში. განვამტკიცოთ საქართველო ფრონტსა და შიგნით, და ამნაირად გამაგრებული ჩვენი სახელმწიფო შესძლებს გალაღებული მტრის მოგერიებას.

ამიერ-კავკასიის სეიმში

სხდომა იხსნება 12 ს. 40 წ. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით დღიურ წესრიგშია ერთად-ერთი საკითხი —საზავო მოლაპარაკების მსვლელობა და მასთან დაკავშირებული გარდამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც სეიმის დღევანდელმა სხდომამ უნდა გადადგას.

სიტყვა ეძლევა მთავრობის წარმომადგენელს, პირველი მინისტრის მოადგილეს ბ. ნოე რამიშვილს.

ნ. რამიშვილი. ბ-ნო წევრო ამიერკავკასიის სეიმისა! ბათომის საზავო მოლაპარაკების დროს, რომელიც რამოდენიმე ხანია დაიწყო, ვერ მიაღწიეს ვერავითარ შედეგს. ამ ხნის განმავლობაში იყო მხოლოდ ერთი სხდომა: ჩვენი, გერმანიის და ოტომანის დელეგატებისა, რათა გქონდესთ ზოგიერთი ცნობა ამ სხდომისა, მე გაგაცნობთ ზოგიერთ ადგილს მისი ოქმისა.

ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელნი მიესალმნენ საზავო მოლაპარაკებას და განაცხადეს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ: ჩვენი დელეგაცია ამას თანაგრძნობით შეხვდა, ხოლო გერმანიის დელეგაციამ ეს მხედველობაში მიიღო. შემდეგ ამისა ილაპარაკა ჩხენკელმა მან სთქვა: „როგორც აქ დამსწრეებმა იციან, საზავო მოლაპარაკებას ტრაპიზონში ვაწარმოებდით, ხოლო ის შესწყდა; მიზეზი ამისა ყველამ იცის—ოტომანის მთავრობამ დეკლარაციით მიმართა ჩვენს დელეგაციას, დეკლარაციას ულტიმატიური ხასიათი ჰქონდა. და ბრესტის ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვდა. ჩხენკელი მოითხოვს, რომ წაკითხულ იქმნას ტექსტი ბრესტის ხელშეკრულებისა“.

ხალილ ბეი: „როგორც სჩანს ამიერკავკასიის დელეგაცია თავისთვის სავალდებულოდ სცნობს მხოლოდ ბრესტის ხელშეკრულებას. მაგრამ მოხდა შეტაკებები, რომლის დროს სისხლი დაიღვარა, და ამიტომ, ამ ჟამად, ბრესტის ხელშეკრულება სრულებითაც არ არის სავალდებულო“.

ეს იყო განაგრძობს რამიშვილი—მთავარი, რაც პირველ სხდომაზე ითქვა, გარდა ამ ოფიციალური სხდომისა, მეტი სხდომა არ მომხდარა, ხოლო იმავე საკითხების გარშემო ნოტების გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა.

მეორე საკითხი, რომელიც უთანხმოებას იწვევს მდგომარეობს შემდეგში: ზავს ვკრავთ მხოლოდ ოსმალეთთან თუ ოთხთა კავშირთან. ამაზე გარკვეული პასუხი მოგვცეს ,საზავო მოლაპარაკება განსაკუთრებით ოსმალეთთან სწარმოებს, ხოლო სხვა დელეგაციებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ სხვა ხასიათის საკითხების გადაწყვეტაში—ეკონომიურ და სხვ.

აი, ეს იყო, რაც ოფიციალურად სწარმოებდა, ამას უნდა დაუმატოთ კიდევ, რომ, თუმცა მეტი სხდომა არ ყოფილა, მაგრამ ოფიციალურ ნოტებს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სხვა, გარდა ამისა, საგულისხმო არაფერი მომხდარა. არა, ბევრი რამ არის ძალიან საყურადღებო და სამნიშვნელო. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ოფიციალური დელეგაციისა, ამიერკავკასიიდან არაოფიციალური დელეგატებიც არის. წარმოიდგინეთ თქვენ ოფიციალური დელეგატის მდგომარეობა, როდესაც არა ოფიციალური დელეგაცია თავის გარეშე და ჩუმი მუშაობით მთლად აქარწყლებს მის მნიშვნელობას მით, რომ დამოუკიდებლად ელაპარაკება ოსმალეთს იმავე საკითხებზე და სრულებით საწინააღმდეგოს იმისა, რასაც ოფიციალური დელეგაცია ელაპარაკება. წარმოიდგინეთ ოფ. დელეგაციას ამის გამო როგორი უყურებს ოთხთა კავშირი.

უკანასკნელი ცნობები შემდეგია: 15 მაისს ვეჰიბ-ფაშამ შემდეგი აცნობა ჩვენს დელეგაციას: რადგან ინგლისელები შეტევას აწარმოებენ, ოსმალეთის ჯარმა დღეს დილის 7 საათზე დაიწყო ჯულფა-გუმრის გზისაკენ სვლა, რათა ინგლისელების შემოტევის გამო ხიფათში არ ჩავარდეს ოსმალეთი. ეს იყო არა ტრანზიტი ჯარისა, არამედ ერევნის გუბერნიის ნაწილის სრული ოკუპაცია. თქვენ იცით, რომ ჩვენმა დელეგაციამ ამაზე პროტესტი განაცხადა, ნაზარბეკოვმაც ფრონტზე მოითხოვა, რომ ოსმალოებმა თავისი ულტიმატუმი უკან წაიღოთ, რათა მას (ნაზარბეკოვს) საშუალება ჰქონოდა თავის მთავრობასა და ბათომის დელეგაციას დაჰკითხებოდა. ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტი გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ-ლოსოვმა გადასცა თავის მთავრობას და აგრეთვე ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთისას.

თქვენ კარგად ხედავთ, რომ ჩვენი დელეგაცია ყოველ ღონეს ხმარობდა ამიერკავკასიის ინტერესების დასაცავად, მაგრამ როდესაც ჰხედავთ იყო პირობები, რომელიც აფერხებდა მის მუშაობას; დელეგაციას ძალა მაშინ აქვს თუ ყოველ მის ნაბიჯს ხალხის გამოძახილი მოჰყვება და თუ პირიქით ხალხი მას არ ეხმარება და არ თანაუგრძნობს, დელეგაციის მუშაობა ყოვლად წარმოუდგენელია. და აი ეხლა ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც არავითარი რწმენა არა გვაქვს იმისა, რომ ჩვენი დელეგაციის მუშაობა რაიმე ნაყოფს გამოიღებს. რაც დრო გადის ამის რწმენა სულ ნაკლები გვაქვს, და ზავის ჩამოგდება თან და თან ძნელდება. და ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობა დიდ შეცდომას ჩაიდენდა, ეს რომ არ ეთქვა საყოველთაოდ. და ჩვენ ვაცხადებთ: არა გვაქვს რწმენა, რომ ზავს შევკრავთ.

ამით ათავებს თავის სიტყვას მთავრობის წარმომადგენელი. რადგან შეკითხვა არავის აქვს, იხსნება კამათი მოხსენების გარშემო და სიტყვა ეძლევა ფრაქციათა წარმომადგენლებს.

ირ. წერეთელი (ს.-დ.) მოქალაქენო, წევრნო სეიმისა. მთავრობამ თავისი მოხსენებით შეგვატყობინა, რომ საჭიროა გარდამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, რათა ამიერკავკასიის ერებმა თავისი არსებობა შეინარჩუნონ. ს.-დემოკრატიული ფრაქცია, რომლის სახელით პატივი მაქვს ვილაპარაკო, ყოველთვის იყო გამომხატველი ამიერკავკასიის ერთა ერთობისა, და იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ კეთილდღეობა ერისა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ერთა ძალები შეერთებულია, ეს იყო ის ნიადაგი, რომელზედაც ს.-დემოკრატიული ფრაქცია იდგა.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მოხდა ის, რაც წინააღმდეგი მცხოვრებთა იმ ნაწილის ნებისყოფისა, რომელმაც ჩვენ აგვირჩია. ერთობის შექმნა შეუძლებელი გახდა, ამიერ-კავკასიის ერთა რეალური ერთობა არ არის და ამიტომ ჩვენ უნდა გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელიც გადაგვარჩენს. და აი, ეხლა, როდესაც ამიერკავკასიის ბედი გამოურკვეველია, როდესაც მტერი არა თუ იმუქრება, არამედ კიდევაც შემოიჭრა ჩვენს მიწა-წყალში, საჭიროა ამ გარდამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ამიერკავკასიის ერთობა არ არის; ეს ნათლად გამოირკვა ბათომში.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, სოციალ-დემოკრატები ყოველ ღონეს აწარმოებდენ ერთობის შესაქმნელად. ჩვენ გვესმოდა, ამ სისხლის მღვრელ ომში მხოლოდ საერთო ძალღონით შეიძლებოდა დემოკრატიის მთლიანობის შექმნა, რომელიც ასე საჭიროა მისი გამარჯვებისათვის: ეს იყო საუკეთესო საწინდარი გამარჯვებისა.

რუსეთის მთლიანობა შეუძლებელი შეიქმნა: ამას ეწინააღმდეგებოდა როგორც გარეშე მტერი, ისე შინაური.

ჩვენ განვიზრახეთ ამიერკავკასია მაინც გადაგვერჩინა. ამიერკავკასიის საზღვრები ღია აღმოჩნდა გარეშე მტრისათვის და მისი შემოჭრა იყო მოსალოდნელი. ამიერკავკასიის ერები თავის საკუთარ შინაგან ძალებს უნდა დაყრდნობოდნენ, რომ თავიდან აეცდინათ დამონავება გარეშე მტრისაგან და აი, სწორედ ამიტომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავის თავზე იდვა ამის სისრულეში მოყვანა. მან დაიწყო ეს საქმე ამიერკავკასიის გადარჩენისა მისი შინაური ძალ-ღონის საშუალებით. ჩვენ შევეცადეთ ისეთი ნიადაგი გამოგვენახა, რომელიც დემოკრატიას დაიცავდა. ასეთ ნიადაგად ჩვენ მივიჩნიეთ ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნა, ერთი, მთლიანი ერთეულის გამაგრება. ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ თუ ერთი რომელიმე ერი ძალით მოახვევდა მეორე ერს თავის ორიენტაციას, აქ ერთობა არ იქნებოდა. ამიერკავკასიის მთლიანობის ნიადაგზე ჩვენ გვინდოდა გვეწარმოებინა ბრძოლა გარეშე და შინაურ მტერთან. თუ აღმოჩნდებოდა ისეთი ძალები, რომელიც ხელს შეუშლიდა და შეებრძოლებოდა ამ მთლიანობას, ჩვენ ამ ძალებს მოვსპობდით.

იმ ამბებმა, რომელთაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჰქონდა ადგილი ნათლად დაგვანახვეს, რომ ეს ერთობა შეუძლებელია. ამან კი მოითხოვა გარდამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

ამ მოკლე ხნის დროს გამოირკვა, რომ შემაერთებელი ძალები გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე განმყოფი. ოსმალოები მოუახლოვდნენ ჩვენს სახელმწიფოს და შემოიჭრნენ შიგ. ამ დროს ჩვენ ნათლად დავინახეთ რომ მუსულმანი მცხოვრებლები ჩვენი სახელმწიფოისა მისკენ ილტვიან, მისკენ მიისწრაფვიან.

როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ვაცხადებდით, ჩვენ გვესმოდა, რომ მდგომარეობა მძიმე იყო. ზოგიერთი ნაწილი ჩვენი ახალი სახელმწიფოისა უარს ამბობდა მის დამოუკიდებლობის დაცვაზე.

სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თვითოეული ერი თავის თავს ამ სახელმწიფოს მკვიდრ შვილად გრძნობს, როდესაც ის თავის თავზე იღებს მის პასუხისმგებლობას.

ერთობა საჭიროა—აი ჩვენი დებულება. მაგრამ, თუ ეს დებულება მართალია ხანგრძლივი პერიოდისათვის, ის მართალი არ გამოდგა ამ ჟამად ჩვენთვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკამ ვერ დაიცვა თავისი ინტერესები და ის ულტიმატუმის წინაშე აღმოჩნდა: მას მძიმე პირობები წარუდგინეს, რაც მის მთლიანობას არღვევდა.

საშინელება ის კი არ არის, რომ მას მისი ტერიტორიის ნაწილის ჩამოჭრას ემუქრებოდნენ. საშინელება ის არის, რომ არ არსებობს ორგანო, რომელიც მასში მოსახლე ერთა ნების ყოფას გამოხატავდეს, შეეძლოს ზომების მიღება და მოწინააღმდეგეც ანგარიშს უწევდეს. ავიღოთ სეიმის მოლაპარაკება ბათომში არ არის ორი მხარე. იქ, ჩვენ დელეგაციის გარდა არიან ისეთები, რომელნიც აცხადებენ, რომ პირველი დელეგაცია არ გამოხატავს ხალხის ნებას.

ჩვენ არა გვყავს ისეთი დელეგაცია, რომელსაც იმედი ჰქონდეს ერთა ძალების და არა თუ ძალების უბრალო თანაგრძნობისაც.

ჩვენ ვხედავთ, რომ მოწინააღმდეგე მშვენივრად სარგებლობს შექმნილ პირობებით და ჩვენ ამ ჟამად ოკუპაციის წინაშე ვსდგევართ.

აღმოსავლეთი ამიერკავკასია არ სცნობს იმ ნაბიჯებს, რომელსაც ჩვენ ოფიციალური წარმომადგენლები სდგამენ. არის იქ მეორე დელეგაცია, აქედანვე, რომელიც პირველს არ თანაუგრძნობს.

ხოლო მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც დელეგაციას თანაუგრძნობს და ძალას უმაგრებს, არა აქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

ამიერკავკასიაში ჩვენ შემდეგი ფაქტის წინაშე ვსდგავართ:

ერთი ნაწილი (სომხების) დაპყრობილია. ის ჩვენ ჩამოგვაშორეს.

მეორე ნაწილიც (ადერბეიჯანი) ჩვენ ჩამოგვშორდა.

ეხლა კითხვა იბადება. ვისია ის დელეგაცია, ბათომში რომ ლაპარაკობს? ის წარმოადგენს იმ ნაწილს მცხოვრებთა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაპყრობილი, მაგრამ მას არა აქვს ორგანიზაცია. უნდა ბოლომდე ითქვას: ეს—ქართველი ერია, რომელიც ვერ დაუპყრიათ; მას სურს თავი დაიცვას, მაგრამ ფაქტიური ამიერკავკასია ხელს უშლის მას ამაში.

ჩვენ, რომელნიც ყოველ ღონეს ვხმარობდით ამიერკავკასიის ერთობისათვის, ვალდებული ვართ უთხრათ ქართველ ერს: „შენ ერთი დარჩი, მაგრამ შენ სახელმწიფო არა გაქვს. ბათომში დელეგაცია არა გყავს, შენ კი ილიუზიებით ცხოვრობ და ფიქრობ, რომ შენ დელეგაცია გყავს. შენ უნდა გადაირჩინო თავი. უნდა შექმნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“. და, აი ამ ორგანიზაციის შექმნას ჩვენ, სოც.-დემოკრატები ვიღებთ ჩვენს თავზე და პასუხისმგებლობასაც ჩვენ ვიღებთ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებლობით არის ნაკარნახევი და მიმართული ქართველი ერის დაცვისაკენ საერთაშორისო უფლების ყველა მოთხოვნის ნიადაგზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ქართველი ერი ამით გადაირჩენს, თავს, ის უნდა წავიდეს იმ გზით, რომლითაც ის ვიდოდა დღიდან თავის გამოფხიზლებისა. და მას უნდა ახსოვდეს, რომ არ უნდა დაუპირისპიროს თავის თავი სხვა ერს; არამედ ის ხელს მიჰყოფს ამიერკავკასიის დაჩაგრულ ერების (სომხის) განთავისუფლებას, ის შეიგნებს იმას, რომ ის ერიც: რომელიც შემცდარ ორიენტაციას დაადგა, აღიარებს ამიერკავკასიის მთლიანობის საჭიროებას.

ერთ ერს მაინც რომ გადავარჩენთ, ამით ჩვენ შევამზადებთ გზას ერთობისაკენ. ამ ერის არსებობის განმტკიცება და ერთობის აღდგენა—აი ჩვენი მიზანი.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია თავის თავზე იღებს ამას. ჩვენ ვიბრძოდით ამიერკავკასიის მთლიანობისათვის, და ყველა ნაკლებ ვემზადებოდით იმისათვის, რომ სახელმწიფოები შეგვექმნა ცალკე ტერიტორიებზე. მაგრამ ამას შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უშლიდნენ.

და აი, ამ წარმომადგენლებმა უნდა შეიგნონ, რომ მათივე წყალობით დაინგრა მთლიანი ამიერკავკასია და საკითხი დაისვა ერთი ერი მაინც გადაგვერჩინა. და ამის შესრულება თავს იდვა ჩვენმა ფრაქციამ.

მაშასადამე ამიერკავკასიის მთლიანობა შეუძლებელი შეიქნა, და ის წარმომადგენლობაც, რომელსაც ამიერკავკასიის მთლიანობა უნდა გამოეხატა, ეხლა სრულებით უადგილოა. ამიტომ ამიერკავკასიის სეიმი, როგორც არარსებულ სახელმწიფოს წარმომადგენლობა უნდა დაიშალოს და უარი უნდა სთქვას იმ რწმუნებულებაზე, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული (ძლიერი ტაში).

რუსტამბეკოვი (მუსსავათი). ქართველ ერს სურს დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. დადგა მომენტი, როდესაც დროის შეუფერებელია კრიტიკა იმ მიზეზებისა, რომელთაც მიგვიყვანეს ამ მომენტამდე. მე დავალებული მაქვს გითხრათ: ჩვენ, რომელნიც დიდი ერების უღელს ქვეშ ვიყავით, არ შეგვეძლია არ მივესალმოთ ერის გადაწყვეტილებას და ჩვენ პრინციპიალურად თანაუგრძნობთ ამ გადაწყვეტილებას.

მაგრამ იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მოიხსენია თავის მოხსენებაში ქართველი ერის წარმომადგენელმა, მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ ის სიმართლეს მოკლებულია. არ არის გარემოებანი, რომელნიც აუცილებელ ხდიდნენ გამოყოფას. ის ფაქტები გადაჭარბებულია და სიმართლეს მოკლებული და ამასთანავე სუბიექტიურად გაშუქებული.

მაგრამ ვიღებთ მხედველობაში. რომ ამიერ-კავკასიის სეიმი გამოხატავდა ამიერ-კავკასიის ერთა შეერთებულ მუშაობას და თუ ერთი ერი გამოდის ამ სახელმწიფოდან, მაშინ შეუძლებელია შეერთებული მუშაობას გავრცელება. და ვუპასუხებთ რა ქართველი ერის წარმომადგენელს, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მას (ქართველ ერს) კავშირი ექნება სხვა ერებთანაც.

ნ. რამიშვილი. მე უფლებიანად არ ვსთვლიდი ჩემს თავს აღმენიშნა ის ფაქტები, რომელთა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰქონდათ ადგილი, რადგან ვფიქრობდი, რომ ის ყველამ იცოდა და განსაკუთრებით მუსულმანთა წარმომადგენელმა. აი ის ფაქტებიც. ახალციხის მაზრაში მცხოვრებთა უმცირესობა უმრავლესობას ძალით ახვევს თავის აზრებსა და ორიენტაციას. ეს კიდევ არ კმარა: ჩვენ მიერ შექმნილი სამხედრო ნაწილები, რომელთაც ამიერკავკასიის მთლიანი ტერიტორია უნდა დაეცვათ, ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის. ზაქათალის ოლქში ასკერები არ სცნობენ ამიერკავკასიის სახელმწიფოს და მთავრობას, და მთელ ოლქში ბატონობენ. ამას გარდა განჯაში შევიდა ნაზიმ-ბეი და არა ფაშა. როგორც ამას ლაპარაკობენ. მას პურმარილით შეხვდნენ იქ (ადგილიდან მუსულმანები გაიძახიან: მეზობლებიდან ისწავლეს). შესაძლებელია, მეზობლებიდან ისწავლეს ეს, მაგრამ როდესაც გვეუბნებიან ფაქტები სიმართლეს მოკლებულიაო, მე მოვალედ ვსთვლი თავს ეს აღვნიშნო.

ალამალოვი (მუსულმანი სოციალისტი). იწყებს იმით, რომ შემოვიდა აქ და ლაპარაკობს არა როგორც სეიმის წევრი და შემდეგ ზღაპარს ჰყვება, რომელშიც გამოიყვანა ერთი თათარი, თავის ბედნიერებას—ერთ ქისა ოქროს მკერდი აუარა ხიდზე გასვლისას—როს გაექცა და დასძენს: ამიერ-კავკასია გვერდს უვლის იმ თავისუფლებას, რომელიც მას ეწვია. 100 წლის წინად, როდესაც ის რუსეთმა შეიერთა, აქ სახანოები იყო და როდესაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ის (ამიერ-კავკასია) ხიდზე გადაიჩეხა.

[illegible] (მუსულმან. სოციალ. ბლოკი) თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

[illegible] (კადეტი). ამიერ-კავკასიის სეიმი მოკვდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობაც მიიცვალა.

როდესაც კი აღიძრებოდა საკითხი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ამისა, იმიტომ, რომ ამიერკავკასია, როგორც მთლიანი ერთეული არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. რა აერთებდა ამიერკავკასიას, როდესაც ის რუსეთის ხელში იყო? ის, რომ ამიერ-კავკასიის ერების ტერიტორიები რუსეთის რესპუბლიკის ნაწილებს შეადგენდნენ, ხოლო დროებით უგზოობის გამო რუსეთს მოწყვეტილი იყვნენ. და ერთად ერთი გამართლება ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობისა—მისი დროებით გადარჩენა იყო.

შემდეგ რღვევა ამიერ-კავკასიისა ბუნებრივი იყო. და მე არ შემიძლია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავიდე. ეს ხომ სეპარაცია არ არის, ეს არ არის აქტი გამოყოფისა, არამედ აუცილებლობით ნაკარნახევი დროებით ჩამოშორება. გასული წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნულ საბჭო შეთანხმებულად აღიარებდა იმას, რომ ის რუსეთის ორიენტაციისაა და მაშასადამე ლაპარაკი სეპარაციაზე აქ არ შეიძლება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება პირდაპირი შედეგია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ის რომ არ მომხდარიყო, არც დღევანდელ აქტს ექნებოდა ადგილი.

მე არ ვიცი რა უსურვო ქართველ ერს. ამგვარი სურვილები მხოლოდ სიტყვებად რჩება და მე მხოლოდ შემიძლია გკითხოთ. დამოუკიდებელი საქართველო ერთი ვერ იარსებებს, ის უთუოდ უნდა შეუერთდეს ვისმეს. და აი მე გეკითხებით...—ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება რუსეთისაგან ჩამოშორების გამოცხადებაა მხოლოდ თუ მეორე კოალიციაში შესვლა?

თუ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ისპობა, ისპობა რასაკვირველია ამიერკავკასიის სეიმიც. როდესაც ამიერკავკასია რუსეთს შორდებოდა, მას არ შეეძლო უგზოობის გამო ხელშეკრულების დადება და თავისი ინტერესების გამიჯვნა. ეხლა კი როდესაც შეიძლება ამ ინტერესების გამიჯვნა და განსაზღვრა, იქნება თუ არა ამისათვის არჩეული კომისია?

ხაჩატურიანი (დაშნაკცუტიუნი), ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მოგესალმოთ. ის ელემენტები, რომელიც ამიერკავკასიაში შედიოდა, არ იყვნენ ერთმანეთში შედუღებული და დაიშალნენ. და ერთი ერი დარჩა, რომელსაც დამოუკიდებლობა უნდა გამოაცხადოს. და ჩვენ უსურვებთ მას ყველაფერ კარგს.

ბერიოზოვი (ს.-რევ.) სოც.-დემ. ფრაქციამ ილაპარაკა გარდამწყვეტ ნაბიჯზე და ჩვენ, ველოდით რომ ამიერ-კავკასიის და არა თუ ამიერკავკასიის, მთელ რუსეთის წინამძღოლისაგან, რომ გვიჩვენებდა გზებს, რათა ჩვენ შეგვძლებოდა მით სვლა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მაგრამ ჩვენ ეს ვერ ვნახეთ.

რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია იღვიძებს, სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს ყველა ძალის მობილიზაციას და იმედია რუსეთის დემოკრატია გამოფხიზლდება.

თქვენ ხომ დამოუკიდებლობას აცხადებთ, რა ძალებით გსურთ მისი დაცვა ეს არ არის ის გარდამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც თქვენ გიხსნის. და თქვენ, პასუხისმგებელნო, წინამძღოლებო დემოკრატიისა, თქვენ, რომელთაც ბედნიერება გხვდათ ბოლომდე გემართათ დემოკრატია და მისი ბედი, თქვენ უარს ამბობთ რუსის ერზე და პროტექტორატითა და თავისუფლების დაკარგვით გსურთ მტრის უღელი დაიდვათ? თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ერთად-ერთი ხსნა რევოლიუციაშია, რომელიც ინტერნაციონალური მიმართულებით განვითარდება. და სად უნდა იზეიმოს ინტერნაციონალმა თუ არა რუსეთში. რუსეთს ყველაზე პირველად ხვდა იმპერიალისტების უღელი და მუშტი იგემა და იქ უნდა ველოდეთ პირველად სოციალიზმის გამარჯვებას.

ჩრდილოეთით იკრიბება ჯარი ბრუსილოვის მეთაურობით (ხმები: სირცხვილი, სირცხვილი) და რუსეთის გამოღვიძებული დემოკრატია საბოლოოდ გაიმარჯვებს და განთავისუფლდება იმპერიალისტების კლანჭებისაგან.

რუსტამბეკოვი. რამიშვილმა აღნიშნა ფაქტები: ახალციხის ამბები და არა ოფიციალური დელეგაცია ბათომში. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალციხეში სრულებით არაა სამხედრო ნაწილები და იქ მხოლოდ ცალკე პირები ღალატობენ მთავრობას. რაც შეეხება არა ოფიციალურ დელეგაციას, ეს არც ერთი პარტიის ბრალი არ არის და არც ერთი პარტია არ იღებს ამაში მონაწილეობას: ცალკე სოფლები დელეგაციებს აგზავნიან ბათომში. ნაზიმ-ფაშა რომ განჯაში ჩამოვიდა, მე ამაში ვერავითარ საბუთს ვერ ვხედავ დღევანდელ სხდომისათვის ის მოდის, როგორც დამპყრობი და მცხოვრებლები პურ-მარილით ხვდებიან და ეს სრულებით არაფერს არ ნიშნავს.

აი ამას ვრაცხდი მე საჭიროდ განმეცხადებინა.

საქართველო რომ დამოუკიდებლობას აცხადებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ სწყვეტს კავშირს სხვა ერებთან.

მელიკ-ასლანოვი (მუსსავათი) ისეთის შთაბეჭდილებაა, რომ მუსულმანთა ქვეყანამ შეთქმულება მოაწყო. მე როგორც დამოუკიდებელი სოციალისტი ვაცხადებ, რომ ეს მართალი არ არის. მე ვამტკიცებ, რომ ეს პარტია (მუსსავათი) ყოველთვის ტრაპიზონსა და ბათომში მთელი ამიერკავკასიის ინტერესს იცავდა. თქვენ მხედველობაში არ იღებთ ერთს გარემოებას. აქ ტფილისში ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. იქ პარტიებს ეხლა აღარ ენდობიან, რადგან მათ ვერაფერი გააკეთეს. იქ ცალკე პირები გამოდიან და გავლენას პოულობენ ხალხში. აი ეს პირები აწყობენ ცალკე არა ოფიციალურ დელეგაციას და ბათომში მიამგზავრებიან.

ჩვენ ულოცავთ საქართველოს და იმედს გამოვთქვამთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გავერთიანდებით.

ნ. რამიშვილი. პარტიების შესახებ არაფერი თქმულა აქ. არ გვითქვამს რაიმე დანაშაული მიუძღოდეს პარტიებს. მართალია, ოფიციალური დელეგაციები მთელი ამიერკავკასიის ინტერესებს იცავენ, მაგრამ არის აქ სხვა არაოფიციალური დელეგატები, და ამ არაოფიციალურ მუშაობას ეწევიან ძალიან გავლენიანი პირები. (აღ[illegible] გილებიდან, სულთანოვი) [illegible] მე კიდევ ერთ სასულიერო პირს აღვნიშნავ, რომელიც თავის მრევლს წაუძღვა ბათომში.

საქართველოს ზედიძე

მე დღევანდლამდე—ყველამ იცოდა—
მეჯავრებოდა წითელი ფერი;
ბევრჯელ მუზამაც ხომ შემიცოდა:
არ მომცა ლექსი გადასაწერი.
მეუბნებოდა: „უცადე დროსა
და როცა აღსდგეს ერი ქართველი,
მაშინ მომიხმე! და შენი დროშა
აღარ დარჩება აუმართველი!“

და, წამოვისხი გლოვის პორფირი,
და ვსთქვი: „აწ, მართლაც რა მემგოსნება?“
მძულდა ჩრდილეთი ფლიდი, ორპირი,
მძულდა თვით ქართლის პატიოსნება...
მაგრამ დღეს როცა მზე ღამეც მნათობს
როცა დახცვივდა მთას ყინვის თვლები:
ჩემი აზრიც კი სხლტება, კამათობს,
რომ ქართველ მგოსნად მეც ჩავითვლები.

მიყვარდა ტუჩი!—და შევიძაგე.
თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა.
რად მინდა ვარდი! რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს... ჯვარსა...
და მეც დამკოცნის სხვა ანგელოსი
და მეც დღეიდან დამეუფლება:
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!

ი. გრიშაშვილი.

დედაქალაქი.
ვარდისთვე. 26.

როდესაც ჩვენი ჯარი ფრონტზე მიდიოდა, ზოგიერთი პირი ხელს უშლიდა ჩვენ ეშელონებს ფრონტზე მისულიყვნენ, შესაძლებელია ეს პირები მოყიდულნი იყვნენ, მაგრამ ეს კი ფაქტია.

არავითარი საბუთი არა გვაქვს პარტიებს დავაბრალოთ რამე. მაგრამ ცნობილი, საზოგადო მოღვაწეები, შესაძლებელია მოყიდულნი გვიშლიდნენ და გვიშლიან ჩვენ საქმეში.

გ. ლასხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი) ჩემს პირველ სიტყვაში რომელიც წარმოვსთქვი ამ ტრიბუნიდან, მე სრულის კმაყოფილებით მივეგებე და მივესალმე ამიერკავკასიის სეიმის შექმნას. მე ვხედავდი მასში დაწესებულებას, რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს კავკასიის ერთა სოლიდარობის გამტკიცების საქმეს. მე ვაღიარე იგი დიდ საქმის დასაწყისად, იმ დიდ საქმისას, როგორიც არის კავკასიის ერთა თავისუფალ სახელმწიფოების ფედერატიულის კავშირის შექმნა.

მაგრამ მე იმ პირველ სიტყვაშივე აღვნიშნე, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა არ არის სწორი და მიზანშეწონილი. ჩვენ ზევიდან კი არ უნდა დაგვეწყო კავშირის შეკვრა, არამედ ქვევიდან, ესე იგი, ჯერ უნდა შეგვექმნა თითოეულ ერის თავისუფალი ავტონომიური ერთეული და შემდეგ ამათ შუა შეგვექმნა საკავშირო დაწესებულებანი. ჩვენ განვიზრახეთ ერთბაშად დაგვეარსებინა კავკასიის ერთა გამაერთიანებელი დაწესებულება. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგან არ არსებობს ერთიანი კავკასია. ეს არის ჯერ-ჯერობით მხოლოდ გეოგრაფიული თერმინი. კავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობს სხვა და სხვა ერი, სხვა და სხვა კულტურისა, სხვა და სხვა სოციალურის მდგომარეობისა, სხვა და სხვა ზნე-ჩვეულებისა. რადა საკვირველია, რომ ამ ერების საერთო დაწესებულებაში, სეიმში, თავიდანვე გამთიშველი ძალები აღმოჩნდა?!.

ჩემის აზრით, ამ სეიმს მხოლოდ ორი უმთავრესი საგანი უნდა ეკისრნა: ომის ლიკვიდაცია და ზავის შეკვრა და მეორე—კავკასიის ერების პოლიტიკურ-ტერრიტორიალური გამიჯვნა, რომ ამით ხელი შეეწყო ერების თავისუფალ ერთეულების შექმნისათვის. შემდეგში, ჩემს ერთ-ერთ სიტყვაში სეიმს ისევ გავახსენე, რომ სეიმის უპირველესი საქმე ეს გადამიჯვნა არის, არის საკითხი ერთა შორისი ურთიერთობის გამორკვევისა, მაგრამ სეიმმა ამ საკითხს არ მიაქცია ყურადღება და ეს არის მთავარი მიზეზი იმ კრიზისისა, რომელშიაც იგი დღეს ჩავარდა. სამწუხაროდ, სეიმმა ვერც პირველი საკითხი—ზავის საკითხი—გადასჭრა, ამ პირველის ეგზამენშიაც ჩაიჭრა. აქაც იჩინა თავი გამთიშველმა ძალებმა და ამიერკავკასიამ ზავი ვერ შეკრა. მთავრობის წარმომადგენლობა და ჩემზე წინ მოლაპარაკე ორატორებმა უკვე მოიყვანეს დღეს აქ მაგალითები ამ გათიშვისა, უკვე დახასიათეს და გამოარკვიეს, რა [illegible] პირობებში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ზავის შეკვრის საქმე და მე აღარ გავაგრძელებ სიტყვას. გავიმეორებ მხოლოდ, რომ სეიმმა ვერ შესძლო ორის უმთავრესის თავის საქმის ასრულება და მისი არსებობა ფუჭი შეიქნა.

ამგვარად დამარცხდა სეიმი, მაგრამ მოქალაქენო, ეს სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენის სოლიდარობის, ჩვენის კავშირის იდეის დამარცხებას. კავკასიის ერებს აქვთ საერთო საქმეები და მათი შეკავშირება შეიძლება სხვა გზით და სხვა საშუალებით. ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტებს, ღრმადა გვწამს, რომ კავკასიის ერთა ფედერატიული კავშირის იდეა ცხოველმყოფელია და უეჭველად გაიმარჯვებს! კავკასია, თავის ვეებერთელა ტერიტორიით, რომელზედაც ცხოვრობს 10—12 მილიონი ნიჭიერი ხალხები, თავის ბედნიერი გეოგრაფიული მდგომარეობით, თავის ბუნებრივის სიმდიდრით უეჭველად შექმნის ძლიერს კონფედერატიულს სახელმწიფოს, რომლისთვის არ იქნება საშიში მტერი არც ჩრდილოეთიდან, არც სამხრეთიდან, რომელიც სრულ შეძლებას მისცემს ყველა ერებს თავისუფლად განავითარონ თავიანთი მატერიალური და სულიერი ძალები. სანამ ეს ასრულდება, იქნებ ბევრი სიმწარე ვიგემოთ, იქნებ ბევრი განსაცდელი განვიცადოთ, მაგრამ უეჭველად ჩვენი იდეალი განხორციელდება.

დღეს საქართველო ირჩევს ახალ გზას და ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, სრულის შეგნებით ვეგებებით ამ დიდ საქმეს, ამ დიდ ფაქტს და თან ვაცხადებთ შეურყეველ იმედს რომ საქართველო, საქართველოს დემოკრატია უფრო მარჯვე და უფრო ახლო გზას გაუკაფავს კავკასიის ერთა სოლიდარობის, შეკავშირების საქმეს. (ტაშისცემა).

გობეჩია (ქართველი ს.-რევ.) დიდის აღელვებით ვხვდები მე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რუსეთის რევოლიუცია დაიშრიტა. ჩვენ გვეგონა, რომ ამიერკავკასიის სეიმი გააერთიანებდა ამიერკავკასიის ერებს. მაგრამ ქართველი დემოკრატია განმარტოვებული დარჩა. ჩვენი ფრაქცია აცხადებს, რომ ამიერიდან ამიერკავკასიის სეიმი აღარ არსებობს და ის უნდა დაიშალოს.

გ. გვაზავა (ნაც.-დემ.) სეიმი იშლება, რადგან თვით სეიმში იყო ჩამარხული ძალები, მას რომ ძირს უთხრიდნენ.

შემდეგ გვაზავა ამბობს, რომ ის და მის პარტია ყოველთვის მოითხოვდა ამ ნაბიჯის გადადგმის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას—სოციალ-დემოკრატები მუდამ იყვნენ ამის წინააღმდეგი ყოველთვის რაღაც ცენტრს ეძებდნენ. „ამ შემთხვევაში—ამბობს გვაზავა—სოციალ-დემოკრატები არაფრით არ განირჩევიან ცნობილ დამპყრობლებს, ჩინგიზ-ყეენსა და სხვებისგან.

ირ. წერეთელი უპასუხებს ყველას. აქ სთქვეს, რომ მე წარმოვადგენ ქართველ ერს; არა მე სოც.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ ქართველი ერის ინტერესებსაც წარმოვადგენთ, ჩვენ წარმოვადგენთ სხვა ერების ინტერესებსაც და გაცილებით უკეთ ვიცავთ მათ, ვიდრე რომელიმე სხვა.

ირ. წერეთელი ასახელებს საბუთებს იმისა, თუ როგორ ირღვეოდა ამიერ-კავკასია, ის ჰკითხულობს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა აქტს, რომელიც ბათომში იქმნა გაგზავნილი და წაკითხული. აქტში მუსულმანები მოითხოვენ, რომ ოსმალეთმა უთუოდ წაიყვანოს ისინი, რადგან მათ საბოლოოდ მოსპობა მოელით და თუ ოსმალეთი მათ არ წაიყვანს, ისინი ვეღარ იარსებებენ. აქტს ხელს აწერს მუსულმანთა ეროვნული კომიტეტი. ირ. წერეთელი კითხულობს ამ აქტს და დასძენს:

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ მუსსავათი მონაწილეობას არ იღებდა ყველა ფერ ამაში, მაგრამ როდესაც საკითხი ისმება, რამ გამოიწვია ამიერ-კავკასიის დარღვევა და დანგრევა ჩვენ ვკითხებით: მუსსავათი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა არაოფიციალურ მუშაობაში, რომელსაც მუსულმანობის სახელით აწარმოებდნენ, მაგრამ რატომ მუსსავათი, რომელიც მაჰმადიანთა უმრავლესობას წარმოადგენს, რატომ ის არ უარჰყოფს ამ აქტებს და მუსულმანობის მოღალატეებად არ სთვლის ამ პირებს.

და როდესაც ერი მიტოვებულია, ნუ თუ ჩვენ ვალდებული არა ვართ უთხრათ მას, რომ მას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდესთ არ არსებული სახელმწიფოსი არ არსებული მთავრობისა. მე, რომელიც სათავეში უდექი რუსეთის დემოკრატიას, მეკითხება ბერიოზოვი, რა საშუალებით მსურს დამოუკიდებლობის დაცვა, ამას საქართველოს სრულ უფლებიანი ორგანო გამოარკვევს. ხოლო რაც შეეხება ბერიოზოვის ნათქვამს საერთაშორისო ხელშეკრულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის „ქაღალდის ნაგლეჯია“ ამაზე ვეტყვი: პირველყოვლისა დამოუკიდებლობის დასაცავად საჭიროა დავეყრდნოთ საკუთარ ძალღონეს და სხვა ერების დახმარებას, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე დიპლომატია და საერთაშორისო ხელშეკრულებანი. რუსეთში ბოლშევიკები ლაპარაკობდნენ ასე: ეს „ქაღალდის ნაგლეჯია“ და დემოკრატიამ ეს არ უნდა აღიაროსო. ჩვენ ეხლა ვიცით ასეთი აზროვნების და პოლიტიკის შედეგები და ასეთმა პოლიტიკამ დემოკრატია დაქსაქსა და სრულებით დაუკარგა მას ძალა. და ეხლა რუსეთის დემოკრატია გვერდს უხვევს თავის ძველ გზებს და ცდილობს ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს თავის მოქმედება.

კიდევ ერთისგან გაფრთხილებ მე ბ. ბერიოზოვს, მან სთქვა—რუსეთი პირველი გახდა მსხვერპლი იმპერიალიზმისა და ამიტომ იქ ყველაზე უწინ გაიმარჯვებს სოციალიზმიო და გვირჩევს მივსდიოთ რუსეთის დემოკრატიას და რუსეთის ორიენტაცია შევიდოთ. ბერიოზოვის აზრი დავაბოლოოდ, გამოდის, რომ საქართველო უკანასკნელი მსხვერპლი იქნება იმპერიალისტებისა და მაშასადამე, იქ ყველაზე გვიან უნდა ველოდეთ სოციალიზმის გამარჯვებას.

ბ. გვაზავა უსაყვედურებს სოციალ-დემოკრატიას მის ცენტრალისტობას და იქვე ამბობს, რომ არ არის ერი, რომელიც წყენით უყურებდეს ქართველ ერს. ის კი უსაყვედურებს, მაგრამ მე ეხლა ვეკითხები: ვის უნდა მიეწეროს ის, რომ ქართველ ერს არა ჰყავს მტერი, მას ზიზღით და წყენით არავინ უყურებს (ძლიერი ტაში, რომელიც ოვაციების ხასიათს ღებულობს).

დასასრულ ირ. წერეთელი კითხულობს რეზოლიუციას, რომელიც ს.-დემ. ფრაქციამ შეიმუშავა:

„რადგან ომისა და ზავის საკითხში ძირითადი უთანხმოებაა იმ ერებს შორის, რომელთაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს, და ამის გამო შეუძლებელია ერთი გავლენიანი მთავრობის არსებობა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებს, სეიმი აცხადებს რომ ამიერკავკასია ფაქტიურად დაშლილია და უარს ამბობს თავის უფლებებსა და რწმუნებაზე“.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე კენჭს უყრის ს.-დემ. ფრაქციის რეზოლიუციას, რომელიც მიღებულია ხმის უმეტესობით, წინააღმდეგია მხოლოდ ორი მუსულმანი.

ნ. ჩხეიძე. რეზოლიუცია მიღებულია. მაშასადამე სეიმი უარს ამბობს თავის უფლებასა და რწმუნებაზე და თავის თავს დაშლილად აცხადებს.

სეიმი იშლება ნაშუადღევის 3 ს. 40 წუთზე.

ეროვნული საბჭოს სხდომა

ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია** თავმჯდომარის ადგილს იჭერს. მას მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება. მის გარშემო პრეზიდიუმის მაგიდაზე თავის ადგილს იკავებენ თავმჯდომარის ამხანაგები გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე და გრიგოლ ვეშაპელი და ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

ნ. ჟორდანია. თქვენ იყავით დღეს მოწამე ერთი ისტორიული, იშვიათი აქტისა. დღეს ამ ზალაში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ეხლა იმავე ზალაში ედება საფუძველი, ეყრება ნიადაგი მეორე სახელმწიფოს. ეს მეორე სახელმწიფო და ის პირველი სახელმწიფო, რომელიც მოკვდა, ერთმანეთის წინააღმდეგი არ იყო, არ შეიძლებოდა წინააღმდეგობა ყოფილიყო მათ შორის, თუ აღსდგება პირველი, იქნება მუდამ ინტერესების თანხმობა; და თუ მოკვდა პირველი, ამის მიზეზი არ არის ის სახელმწიფო რომელიც დღეს აღსდგება.

ახალი საქართველოს სახელმწიფო, დღეს დაარსებული არ იქნება მიმართული არც ერთი ერის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია, რომ დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილში დაიფაროს თავისი თავი, და მერე ის დაეხმარება მათ, ვინც დღეს განსაცდელშია ჩავარდნილი.

თქვენ იცით, რომ საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავის არსებობისათვის. საუკუნეთა განმავლობაში ის იბრძოდა თავის არსებობისათვის და არა დროს არ ებრძოდა სხვის არსებობას, ის იბრძოდა არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ ყველა იმ ერისათვის, რომელიც მის საზღვრებში და მეზობლად ცხოვრობდა (ტაში). ის ჰფარავდა დაჩაგრულ ერებს. ეს არის დიდი ანდერძი, რომელიც მუდამ ახსოვდა ქართველ ერს. და ეს დიდი ანდერძი, იმედია, დარჩა ქართველი ერის გულში და ქართველ ერს შერჩა ძირითადი მიდრეკილება, რომ თავისი ინტერესი შეურთოს სხვის ინტერესს, და სხვა ერი ამ ახალი სახელმწიფოს დაარსებით არ უნდა განიცდიდეს რაიმე შეწუხებას, რაიმე ტკენას.

ჩვენ ვიყავით მოწამე, როდესაც სთქვეს, რომ არ არის ერი, რომელიც წყენით უყურებდეს ქართველ ერს და უნდა ვფიქროთ რომ ახალი სახელმწიფო ამ სხვის იმედებს სავსებით გაამართლებს, ჩვენ გვსურს ვიყოთ მეზობლურ ურთიერთობაში მეზობელ ერებთან. მე მივაქცევ განსაკუთრებით ყურადღებას იმ ერს, რომელიც ტრაგედიას განიცდის და იმ ძველი ანდერძით, იმედია, ის ერი ისეთსავე მფარველობას იპოვის, როგორსაც ის პოულობდა ჩვენი მეფეების დროს (ტაში).

ჩვენ გვსურს ვიყოთ კარგ განწყობილებაში მუსულმანებთან, იმედი გვაქვს, რომ მუსულმანობა მოგვბაძავს და დაიარსებს თავის სახელმწიფოს და მერე ხელს გამოგვიწვდის (ტაში).

ამასთანავე ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენ გარეშემო მეზობელ ერებთან მომასწავებელია იმისა, რომ მას ექნება მაგარი ძირი, რომელსაც დაეყრდნობა ჩვენი ნორჩი სახელმწიფო და აქ სახელმწიფოს არ ჩათვლიან თავის ჭოქიშპედ და არ იქნებიან დაინტერესებულნი იმაში, რომ მას წიხლი ჰკრან.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში არიან უმცირესობანი, რომელნიც ისეთივე უფლებით იქნებიან მოცული, როგორც თვით ქართველობა.

ესენი შეერთებულნი ერთ დროშის ქვეშ, შეეცდებიან საბოლოოდ წარმოშვან ისეთი სახელმწიფოს კავშირი, რომელიც აღადგენს იმ სახელმწიფოს, რომელიც დაიმსხვრა. ეს იქნება ამიერკავკასია, კონფედერატიული კავშირი და ჩვენი იდეალი უნდა იყოს ასეთი კავშირის შედგენა ამიერკავკასიაში; რომ დაარსდეს დაახლოვებით ასეთი ორგანიზმი სახელმწიფოებისა, რომელნიც იქნებიან ამ კავშირში და რომელნიც მტრების წინაშე წარსდგებიან ხელი-ხელ გაყრილნი და დაიცავენ თავის თავს და სხვებსაც. ეს იქნება ის, რის შექმნა სეიმში ვერ მოვასწარით.

ამიერკავკასიის ერები უნდა შემოკრბნენ ერთ დროშის ქვეშ. ეს დროშა იქნება ამიერკავკასიის ერთა ერთობა და მათი ძლიერება (ტაში).

ეხლა განაგრძობს ნ. ჟორდანია, —მოგვეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ დღეს აქ შევიყარეთ. ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, და თქვენ ნებას მომცემთ ის წავიკითხო ნ. ჟორდანია კითხულობს „აქტს საქართველოს დამოუკიდებლობისას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ის ისმენს ამ აქტს. პირველ მუხლს — „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“—ეროვნულ საბჭოს წევრები და მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება ძლიერი ტაშითა და „ვაშა“-ს ძახილით ხვდება. ყოველი მუხლის წაკითხვას ტაშით აჯილდოვებს მთელი დარბაზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

,,მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

,,რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

,,დარჩნენ რა თვისის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

,,ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

,,ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

—

აქტის წაკითხვის შემდეგ დიდი ოვაციები იმართება. სასახლის გარედ მყოფი დიდ-ძალი ხალხი, რომ გაიგებს აქტის კითხვა დასრულდაო, დიდ ტაშსა და ოვაციებს მართავს. აქტი გააქვთ გარედ, თან მიაქვთ ეროვნული დროშა, პრეზიდიუმის მაგიდასთან რომ იყო აღმართული და ხალხს ზემო მოყვანილს უკითხავენ.

შემდეგ ერ.-დ. ვეშაპელი იმავე აქტს რუსულად კითხულობს. რუსულად კითხვის დროს, გარედან ისმის დაუსრულებელი ტაში, რომლითაც მთელი დედა-ქალაქის ქართველობა, სასახლესთან შეკრებილი, აქტის ყოველ მუხლს აჯილდოვებს.

აქტის კითხვა შინ და გარედ დასრულდა.

ნ. ჟორდანია. ეროვნულ საბჭოს წევრებო! გაქვთ თუ არა რაიმე შეკითხვა წაკითხულ აქტის შესახებ.

შეკითხვა არავის არა აქვს.

ნ. ჟორდანია. თუ არავის აქვს შეკითხვა, ნება მომეცით კენჭი უყარო

ნ. ჟორდანია კენჭს უყრის აქტს, რომელიც ერთხმად არის მიღებული.

ნ. ჟორდანია. შემდეგ კრებისა ყოველ წევრს ეროვნულ საბჭოისა ვსთხოვ ხელი მოაწეროს აქტს. ეხლა კი ნება მომეცით გაგაცნოთ ახალ მთავრობის წევრთა სია, რომელიც შეთანხმებით არის უკვე შემუშავებული.

საქართველოს დროებითი მთავრობა

პირველი მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი — **ნოე რამიშვილი.**

საგარეო საქმეთა მინისტრი—**აკაკი ჩხენკელი.**

სამხედრო მინისტრი—**გრიგ. გიორგაძე.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—**გიორგი ჟურული.**

განათლების მინისტრი—**გიორგი ლასხიშვილი.**

მიწათმოქმედების და შრომის—**ნოე ხომერიკი.**

იუსტიციის მინისტრი—**შალვა მესხიშვილი.**

გზათა მინისტრი—**ივანე ლორთქიფანიძე.**

ნ. ჟორდანია. ასეთია მთავრობა ახალი საქართველოსი და იმედია ამას დაამტკიცებთ—(კრება ამტკიცებს). ეხლა საჭიროა, სანამ მუშაობას შევუდგებოდეთ დავადასტუროთ ის კანონები, რომელნიც დღემდე აქ არსებობენ. (კრება ადასტურებს). უნდა მივიღოთ დადგენილება, რომ, რადგან ფინანსების საქმე ძნელი საქმეა, დარჩეს ძველი წესი მათი ბეჭდვისა, სანამ ჩვენი სისტემა შემუშავდეს. და ამიერიდან ამაში შეთანხმება გვექნება სომხებთან და თათრებთან. გარდა ამისა ჩვენ შემდეგ სხდომას საჭიროა კანონიერი ხასიათი მივცეთ და ამისათვის საჭიროა სამანდატო კომისიის არჩევა, რომელიც შეამოწმებს ეროვნულ საბჭოს წევრთა სიას და მათ მანდატებს.

ეროვნული საბჭო ადგენს რვა კაცი იყოს სამანდატო კომისიაში და ირჩევს: კიკვაძეს, არსენიძეს, შალვა მიქელაძეს, იასონ ლორთქიფანიძეს, ანჯაფარიძეს, კოლა ქავთარაძეს, გვაზავას და ჩერქეზიშვილს.

ნ. ჟორდანია. დღევანდელი წესრიგი ჩვენი სხდომისა დასრულებულია. ამ დღეებში თქვენი მთავრობა გამოვა დეკლარაციით. ყოველ ფრაქციას შეეძლება პასუხი გასცეს მას. ეხლა კი ნება მომეცით სიტყვა მივსცე ერთა წარმომადგენლებს, რომელსაც სურთ მიესალმონ ჩვენს ქართველ ერს.

ერთა წარმომადგენელნი

ხან-ხოისკი (რუსულად). მუსულმანთა ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა გადმოგცეთ თქვენ მისი გულწრფელი სურვილები და გრძნობები იმ ახალი ცხოვრების გამო, რომელშიაც თქვენ დგებით. ქართველი ერი დაუღალავ ბრძოლას ეწეოდა თავისი არსებობისათვის. და ეხლა მიღწეულია და განხორციელებული ის ოცნება, რომელიც ყველა ადამიანშია, რადგან კავკასიის ერების ინტერესები ერთმანერთშია გადახლართული, ქართველი ერი ფიქრობდა, რომ უთანხმოებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა და ამიტომ ამიერ-კავკასიის ერებს ერთი მტკიცე ცხოვრება უნდა ეწარმოებინათ. მაგრამ ეს არ მოხერხდა, აუცილებელი გახდა სხვა გზით სვლა. ქართველი ერის წარმომადგენლებო! არას დროს არ ვგრძნობთ სოლიდარობის აუცილებლობასა და საჭიროებას, როგორც დაშორების ჟამს. უფრო მეტი კავშირია საჭირო, უფრო მჭიდროდ უნდა ვიყოთ დაახლოვებული. და აი ამ ნეტარ დღეს ყოველ ქართველისათვის და მთელი საქართველოისათვის მე მგონია, რომ თუ თქვენ გაითვალისწინებთ მთელ წარსულ ჩვენს ცხოვრებას, თქვენ დაინახავთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენი განშორება დროებითია და ჩვენ უფრო მჭიდროდ გავუწვდით ერთმანეთს ხელს (ტაში), ჩვენ, მუსულმანები ყოველთვის ვიდექით იმ თვალსაზრისზე, რომ ყოველ ერს უფლება აქვს დამოუკიდებელი არსებობისა. აი თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვიცავდით. და როდესაც თქვენ უკვე განახორციელეთ ეს, მომეცით ნება ჩემი გულწრფელ სალამი მოგიძღვნათ. და თუ თქვენ ერთი წუთით მაინც ამჩნევთ ჩვენს მწუხარებას, ეს მწუხარება იმით კი არ არის გამოწვეული, თითქო ჩვენ არ გვსურდეს თქვენი დამოუკიდებლობა; არა, ეს მწუხარება მხოლოდ იმისაა, რომ ჩვენ თქვენთან დაშორება გვამწუხრებს და გვაღონებს, მომეცით ნება კიდევ გადმოგცეთ ჩემი ერის წრფელი სალამი და შეგსძახო: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

პოლონელთა წარმომადგენელი (რუსულად). ჩვენ, პოლონელ ერის შვილები მოგესალმებით თქვენ. ქართველო ერის წარმომადგენლებო, ამ თქვენთვის ბედნიერ დღეებში, თქვენს წინაშე ფართო ასპარეზი იშლება სახელმწიფოებრივობისა და გზა მისკენ თქვენთვის ხსნილია და არაფრით არ იჩრდილება. გაუმარჯოს საქართველოს!

ოსების წარმომადგენელი (ქართულად). ამხანაგებო და მოქალაქენო! აქ ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმასვე რასაც თქვენ, რადგან მე ვარ არა თუ ოსების წარმომადგენელი, არამედ ეროვნულ საბჭოს წევრი ეს ამტკიცებს იმას, რომ ღრმა კავშირი არის ამ ორ ხალხს შორის. მჭიდრო კავშირია ჩვენს შორის და ჭირშიაც და ლხინშიც ერთად ვიყავით. და რწმენით აღჭურვილი სალამს უძღვნი ამ კრებას და იმედია, რომ ის თავიდან აიცდენს იმ უბედურებას, რომელიც თავს ადგია.

აბაშიძე (მაჰმადიანი ქართველი). მე თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი, სულით და გულით სალამს გიძღვნით. მაგრამ ნაღვლით მევსება გული, რომ სამაჰმადიანო საქართველო ჩვენ აღარა გვაქვს. ჩვენ გვრწამს, რომ აღსდგება სამაჰმადიანო საქართველო, რომელიც თქვენთან იქნება, გაუმარჯოს მომავალ საქართველოს, ისტორიულს და მთლიანს ტერიტორიულად.

კაიზერი გერმანელი მხედარი (გერმანულად; სთარგმნის გ. ქიქოძე). თუმცა მე არა მაქვს მთავრობისაგან დავალებული, მაგრამ მე პირადად სალამს უძღვნი ახალ საქართველოს.

ამიერ-კავკასიის გერმანელ ახალშენების წარმომადგენელი (გერმანულად; სთარგმნის გ. ქიქოძე) ულოცავს თავისუფალ საქართველოს, იმედოვნებს ის მშვიდობიანობას დაამყარებს და ამბობს გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“.

მისალმებების შემდეგ ნოე ჟორდანია აცხადებს:

ნ. ჟორდანია უცხადებ მადლობას ყველა იმას, ვინც მოგვილოცა და ეხლა კრებას ვხურავ (ძლიერი, დაუსრულებელი ტაში).

კრება დასრულდა 5 ს. 40 წ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ 5 ს. 40 წ. კრება დახურულად გამოაცხადა, მაგამ ხალხი არც დარბაზში არც სასახლის გარედ დაშლას არც კი ფიქრობდა. დარბაზში მყოფნი ერთმანეთს ულოცავდნენ და შთაბეჭდილებას უზიარებდნენ. ქუჩაში კი უამრავი ხალხი კიდევ რაღაცას ელოდა. ეროვნულ საბჭოს დარბაზის ფანჯრებიდან არც კი სჩანდა არც თავი, არც ბოლო იმ წყებათა, რომელთაც სასახლის ქვაფენილი ძლივს იტევდა. ხალხში გაისმოდა საზეიმო სიმღერები.

ამ დროს სასახლეს მოუახლოვდა სომხის ჯარის ნაწილი და შეუერთდა იქ მყოფ ჩვენს ჯარს: სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმს, წითელ რაზმსა და სათადარიგო ჯარის ნაწილს.

დიადი აქტით აღფრთოვანებული ხალხი მოითხოვს ორატორებს: თითქოს უკმაყოფილო დაიშლება ის, თუ საუკეთესო ორატორებმა შესაფერისად არ დააგვირგვინეს მომხდარი ამბები. „კაკი წერეთელი“, „გიორგი ლასხიშვილი“, „შალვა მესხიშვილი“ გაისმის ხალხში, დარბაზში ეძებენ მათ. მოდის კაკი წერეთელი, უახლოვდება ფანჯარას... ხალხში ტაში და „ვაშა“-ს ძახილი, კაკი დაღვრემილი, აღელვებული თითქოს ხალხის მიმართულებით იცქირებაო, მაგრამ ის არავის არ უცქერის. ის რაღაცას ჰფიქრობს... თითქოს გადასწყვიტა სიტყვით მიემართნა ხალხისთვის, ის სასახლის აივანზე გადის და მშვენიერი სიტყვით მიმართავს მომლოდინე ხალხს.

ირ. წერეთლის შემდეგ ხალხს მიჰმართავს იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი. ოორივე ორატორის მიზანია გადაშალოს ხალხის წინაშე, თუ რა მოვალეობას აკისრებს ქართველ ერს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ლაპარაკობენ აგრეთვე სხვანიც კარლო ჩხეიძე, ივ, როსტომაშვილი, შ. ქარუმიძე და იაშვილი, რომელიც თითქოს აკანონებსო ამბობს თავისი სიტყვის დასასრულს: „დღეიდან გოლოვინის პროსპექტს „რუსთველის ქუჩა“ ეწოდებაო.

ამის შემდეგ ხალხი იშლება სოც.-ფედერალისტთა რაზმი სიმღერით მოდის „რუსთველის ქუჩით“, მას წითელი რაზმი და სათადარიგო ნაწილი მოჰყვება, ისინიც სიმღერით. ვერის დაღმართთან სოც.-ფედერ. რაზმი ჩერდება. აქ იმართება მიტინგი: სიტყვები წარმოსთქვეს მუშებმა: ქავთარაძემ, იოსელიანმა და ბაქრაძემ. შემდეგ პროცესია მიდის ოლღას ქუჩით და წყნეთის ქუჩასთან უკან ბრუდება იმავე ქუჩებით. სასახლესთან კვლავ იმართება მიტინგი. საღამოს 8 საათზე ხალხი იშლება.

ბათომის პარტიზანული რაზმი

კვირას 26 მაისს დილით შემდეგი დეპეშა მივიღეთ ერთი ერთ პოზიციიდან შტ. კაპ. ბ—საგან:

გუშინდელი მდგომარეობა ასეთი იყო. ჩვენებმა იერიშით დაიჭირეს მტრის სანგრები და წინ წაიწიენ. მარჯვენა ფრთამ არ აღმოუჩინა დახმარება და რაზმს გარს შემოერტყნენ მაჰმადიანები. 45 მეომარი ოთხის ტყვიის ფრქვეველით ხუთი საათის განმავლობაში იგერიებდა მტერს და თავი დააღწიეს ასე რომ ერთი ტყვიის ფრქვეველიც არ დაუკარგავთ. მაჰმადიანთა ზარალი მეტად დიდია. ჩვენი ტყვიის ფრქვეველები უმოწყალოდ თიბავდა მათ. გმირულად დაიღუპა ბათალიონის უფროსი მელუა, მოკლულია აგრეთვე პოდპორ. შელეგია და მძიმედაა დაჭრილი პრაპ. გულისაშვილი. რაზმელთა შორის მკვდარია ცხადაძე, რომელიც დღეს უკვე გავასვენეთ სვირში. ადგილობრივ ლაზარეთში რვა დაჭრილია. საერთოდ მოკლულთა რიცხვი ჯერ არაა გამორკვეულული. ერთი დაჭრილი ტფილისში გამოვგზავნეთ.

დღეს მაჰმადიანებმა 12 საათის შემდეგ შეტევა განაახლეს, მაგრამ მოვიგერიეთ...

ჩვენი რაზმი მზადაა თავი დასდვას სამშობლოსათვის...

გასაოცარი გმირობა გამოიჩინეს ცალკე პირებმა, რასაც შემდეგ გაუწყებთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაზმის უფროსის ი. გ—ის გმირობა. რომელსაც მტრის ტყვიამ ცხენი მოუკლა ბრძოლის დროს. ჯერ ცოცხალია და უვნებელი.

ხვალ გაცნობებთ დაჭრილთა და მოკლულთა დაწვრილებითს სიას.

არ. ჭუმბაძე დაჭრილია, მაგრამ არა მძიმედ. სამსონ დადიანის გმირობა აუწერელია... ჯანმთელად და კარგად არის.

—

მთავარმა კომიტეტმა გუშინწინ შემდეგი მისწერა რაზმის უფროს პირდაპირის მავთულით:

დღეს ნაშუადღევის ხუთ საათზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. გილოცავთ ამ დიად ისტორიულ აქტს. ვამაყობთ თქვენის გმირობით და დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ მეტის თავგამოდებით დაიცავთ ახალი საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებას.

გამარჯვება ქართველ ერს, გამარჯვება სახელოვანს რაზმს!

საუკუნო ხსენება დაღუპულ ამხანაგებს.

სამშაბათს 28 მაისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულ

ნიკოლოზ ხარლამპის ძე ხუციშვილის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მშობლები მღ. ხარლამპი ნიკოლოზის ძე, ეკატერინე გიორგის ასული ხუციშვილი, შვილებით: ეკატერინე, გიორგი, მიხეილი, და პაპა გიორგი სოლომონის ძე და მეუღლე მისი ევა ილიას ასული და შვილი მათი ილია მჭედლიშვილები. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 542-1

ზავის გარშემო

რუსეთი და ამიერკავკასია

მოსკოვის რადიო-სადგურით 25 მაისის თარიღით იტყობინებიან: 15 მაისს სახალხო კომისარიატმა უპასუხა გერმანიას, რომ მისი აზრით საჭიროა იმ საზავო მოლაპარაკებაში, რომელიც ეხლა ბათომში სწარმოებს, მონაწილეობა მიიღოს რუსის მთავრობის წარმომადგენელმაც. თუ ოსმალეთის და ამიერკავკასიის მთავრობამ ურუსეთოდ დასდვეს საზავო ხელ-შეკრულება—რუსეთი ამ ხელ-შეკრულებას არ აღიარებს. გუშინ, 22 მაისს გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შეატყობინა სახალხო კომისარიატს, რომ ჩხენკელის მთავრობა ჰგზავნის მოქალაქე მაჩაბელს, როგორც დელეგატს, რათა იგი მოელაპარაკოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. იმპერატორის დესპანი მირბახი დამატებით იტყობინება, რომ მოლაპარაკების ადგილად არჩეულია კიევი და გვირჩევს მალე მოვაგვაროთ საქმე. მას შემდეგ რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩხენკელის მთავრობასთან პირდაპირი ურთიერთობა, სახალხო კომისარიატი მადლობით იღებს გერმანიის წინადადებას და მზადაა ეხლავე დაიწყოს მოლაპარაკება ჩხენკელის მთავრობის დელეგატთან. თუმცა ეხლავე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს არ ჰნიშნავს ეგრედ წოდებულ ამიერკავკასიის მთავრობის აღიარებას. დამოუკიდებლობა ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილს. რუსის მთავრობა აცხადებს, რომ კიევიდან ტფილისსა და მოსკოვთან ურთიერთობა ძნელია და ამიტომ სრულიად მოუხერხებელი ადგილია მოლაპარაკებისათვის. უფრო საადვილო იქნება მოლაპარაკება საბჭოთა ფედერაციის რომელსამე ქალაქში, რომელიც ახლო იქნება ამიერკავკასიასთან. ასეთ ქალაქად ჩვენ მიგვაჩნია ქ. კავკავი. რუსის მთავრობა სრულიად ემხრობა გერმანელების აზრს მოლაპარაკების მალე დაწყების და საქმის მოგვარების შესახებ.

სახალხო კომისარ.ი გარეშე საქმეთა **ჩიჩერინი.**

ოსმალეთის ულტიმატუმი

(მთავრობის ცნობა)

ბათომიდან იტყობინებიან, რომ ყოფილ თავმჯდომარემ ყოფილ ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის ა. ი. ჩხენკელმა 26 მაისს საღამოს $8^3/_4$ საათზე ოსმალეთის საზავო დელეგაციის მეთაურის ხალილ ბეისაგან მიიღო შემდეგი ულტიმატუმი: „თქვენმა აღმატებულებამ კარგად უწყის, რომ კავკასიის მდგომარეობა ერთობ კრიტიკულია და გამოურკვეველი, რასაც ბოლო უნდა მოეღოს დაუყონებლივ. მრავალ მაჰმადიანს ბაქოში და მის მიდამოებში მძიმე უღელი ადევთ კისერზე დაუნდობელ ყაჩაღთა ეგრედ წოდებულ რევოლიუციონერებისა და დაუნდობელი კატასტროფა, რომელიც ხიფათს უმზადებს ამ უბედურებს, თან და თან აუცილებელი ხდება. მშვიდობიან ოსმალო მცხოვრებთა ბედი ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში, სადაც გამეფებულია ყაჩაღთა და მძარცველთა ბრბოების სისტემატიური და უზომო ძალმომრეობა, არა ნაკლებ საყურადღებო. მიუხედავად ამისა ბ-ნო თავმჯდომარე თქვენ სცნობთ, რომ არავითარ მთავრობას, რომელიც ღირსი იქნება ამ სახელის, არ შეეძლო გულგრილად შეხვედროდა იმას, რომ მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე დაუსჯელად მრავლდებოდეს ასეთი დანაშაულობა და თქვენ, რასაკვირველია აღიარებთ, რომ ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობას განსაკუთრებით არ შეუძლია აიტანოს ამიერკავკასიაში მძვინვარე ანარქია, რადგანაც ეს უპირველესად ყოვლისა შეეხება იმ მცხოვრებთა უზრუნველყოფას, რომელნიც მეტის მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმპერიის მცხოვრებთან რასიულად და კულტურულად, მეორეს მხრით საყოველთაო ომის გამო საიმპერატორო მთავრობა იძულებულია უზრუნველჰყოს კავკასიაზე ჯარის თავისუფლად და სასწრაფოდ გადაყვანა რკინის გზებით მეორე ფრონტზე, ეს გარემოებაც მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს ეხლანდელ გამოურკვეველ მდგომარეობას, ყველა ამ მიზეზის გამო ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობა თავის ვალად სთვლის მოითხოვოს, რათა დაუყონებლივ აცნობონ მას ფორმალური პასუხი ამიერკავკასიის დელეგაციისა ოსმალეთის წინადადებაზე, აგრეთვე ახალ წინადადებაზე საზღვრების შესწორების შესახებ, რის ტექსტიც მე მაქვს პატივი გადმოვცე ამასთანავე თქვენს აღმატებულებას.

ამნაირად ჩემი მთავრობა ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ წინადადებათა სავსებით მიღება დააკმაყოფილებს მას, და საკმაო გარანტიას შექმნის ოსმალო და მაჰმადიან მცხოვრებთა მდგომარეობის უზრუნველ საყოფად. ამიტომ დამავალა მე ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, მაცნობოთ 72 საათის განმავლობაში (3 დღე) დღევანდელ დღის საღამოს 8 საათიდან იღებს თუ არა მთლიან რესპუბლიკის მთავრობა ოსმალეთის მთავრობის წინადადებას. აგრეთვე უნდა დაუმატო, რომ ამ 3 დღეში ორივე ჩვენი მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულება ძველებურად მეგობრული იქნება მხოლოდ იმ უეჭველ პირობით; თუ ოსმალთა ჯარის ოპერაციებს სამხრეთ კავკასიაში კერძოდ განჯასა და ჯულფას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდება. ულტიმატუმის წარდგენის შემდეგ ოსმალეთი მოითხოვს რომ მას შეუერთდეს შემდეგი ტერიტორია: ნახიჩევნის მაზრა (გარდა ორდუბათის და მის მოსაზღვრე მცირე ხაზისა), შასურ-დაალაგეზის მაზრის ნახევარი ერევნის ნახევარი გუბერნია, მთელი სურმალინის მაზრა, ეჩმიაძინის თითქმის მთელი მაზრა (ქ. ეჩმიაძინით) განჯის გუბერნიის დიდი ნაწილი ქ. განჯით და მთელი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები. აგრეთვე მოითხოვენ ჯარის გადაყვანას ყველა რკინის გზაზე.

სეიმის დეპეშა

ბერლინი, სტამბოლი, პარიზი, ვენა, ლონდონი, რომი, ვაშინგტონი, მოსკოვი, სოფია, ტოკიო, ბუქარეშტი, თეირანი, მადრიდი, ჰააგა, კიევი, სტოკჰოლმი, ქრისტიანია, კოპენჰაგენი. საგარეო მინისტრებს რადგანაც ამიერკავკასიის სეიმმა 26 მაისს შუადღის 3 საათზე ამიერკავკ. ფედერატიული რესპუბლიკა დარღვეულად გამოაცხადა და შემდეგში უკვე არ არსებულად, სეიმმა მოვალეობა მოიხსნა და თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა გაცნობებთ რა ამას გთხოვთ აცნობოთ ეს თქვენს მთავრობებს.

სეიმის თავმჯდომარე.

საქარ. ეროვნულ საბჭოს დეპეშა

იმავე მისამართებით საქართ. ერ. საბჭომ 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება. გატყობინებთ რა ამას მაქვს პატივი გაუწყოთ თქვენ აღმატებულებას და გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რამიშვილი.**

ახალი ამბავი

◆ **მოკლულნი და დაჭრილნი.** 23 და 24 მაისის ბრძოლებში მოკლულნი და დაჭრილნი არიან: პორ. ალექსი მელუა, ოფიცერი შელეგია, ფოსტის მოხელე სამს. ცხადაძე, ვახმისტრი მეორე ქართულ პოლკისა ჩიხრაძე, ოფ. რობაქიძე (გვარდიელი). დაჭრილნი არიან: ჩვენი თანამშრომელი და ამხანაგი არისტო ჭუმბაძე, მიხეილ დავითიშვილი, კონ. ბაქრაძე (მეორე პოლკელები), ციხელიძე ლეონი (პარტიზ. რაზმისა) და სხ.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ,** შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა ყველა ტფილისის სამუსიკო დაწესებულებებმა მონაწილეობა მიიღონ ქართულ ჰამ-საგალობელთა დილაში, რომელიც გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით კვირას 2 ივნისს სახელმწიფო თეატრში.

◆ **ამხ. გრ. ლადიძე,** რომელიც ექვს თვეზე მეტია რაც დაჭრილია ამ დღეებში ტფილისში ჩამოიყვანეს და მოათავსეს მელიქ-შვილის საავადმყო-

ფოში. მას მესამეთ გაუკეთეს „ოპერაცია“, მაგრამ ტყვია ფეხიდან მაინც ვერ გამოუღეს ექიმების ცნობით ჭრილობა მალე მოურჩება. თავს გვარიანად გრძნობს.

◆ ახალი წიგნი: დაიბეჭდა და დაურიგდა წიგნის მაღაზიებს გასაყიდათ „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“ გიმნაზიის მეორე კლასის კურსი (ნაწევრები) შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა შედგენილი ს. დათეშიძის მიერ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ორშაბათს, 29 მაისს პარტიის კლუბში გაიმართება არაჩვეულებრივი საზოგადო კრება მომენტის შესახებ. ილაპარაკებენ: გ. ლასხიშვილი, შ. მესხიშვილი, სამს. ფირცხალავა, ალ. მდივანი, გრ. რცხილაძე და სხვ. კრების დასაწყისი საღამოს სწორედ 7 საათზე.

კვირისთვის დანიშნული ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილის ლექცია გაიმართება დღეს, სამშაბათს, 28 მაისს, პარტიულ კლუბის დარბაზში. დასაწყისი საღ. 7 საათზე. დასწრება ყველას შეუძლიან. შესასვლელი ფასი ერთი მანეთი.

ორგია თუ პოლიტიკა?

მთლიან რუსეთიდან, ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან თან და თან მივდივართ საქართველოს რესპუბლიკამდე. ვინ იცის შეიძლება საქართველოს რესპუბლიკასაც დაურჩეს ორი დღის სიცოცხლე, მაგრამ დღეს ფაქტიური მდგომარეობა შემდეგია: ადერბეიჯანი ჩართულია ოსმალეთის ორომტრიალში და ბურჟუაზიულ-ფეოდალური „მუსავათის“ დემოკრატიული ადერბეიჯანს ურჩევნია ოსმალური მონარქია რომელიც ბაქოს მუშებისათვის და ელისავეტ-განჯის გლეხობისათვის მოუტანს 11 საათის სამუშაო დროს და იძულებით მუშაობის კანონს სხვის მამულში. ჩვენს წინაშე არც დემოკრატიული სომხეთია წარმოდგენილი. ტფილისის სპეკულიატური „დაშნაკცუტიუნი“ უბადრუკი ეროვნული პარტია გამოდგა, რომლის დემოკრატიამ ერთი სახელოვანი ფურცელი ვერ ჩააკერა დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის ომის ისტორიას.

როგორც მუსსავათი იცქირებოდა ოსმალეთისაკენ, ისევე დაშნაკცუტიუნი ინგლისისაკენ. თვითმოქმედება, ბრძოლა ეროვნულ არსებობისათვის კი ორივე ეროვნულ პარტიას დაავიწყდა და საბედისწერო მდგომარეობაში ჩააყენა მთელი ჩვენი მხარე.

დასამალავი აღარ არის: ოსმალეთის წინააღმდეგ დღეს მხოლოდ ქართველი ერი სდგას და თუ ქართულის ფრონტიდან ფეხს ვერ სძრავს ოსმალეთი იმიტომ, რომ ქართველობამ შეძლო ერთი ხაზის გამაგრება. დაშნაკცუტიუნმა საამარცხვინო სისუსტე და სილაჩრე გამოიჩინა ყარსის ფრონტის მიმართულებით, ერთის ხელის დაკვრით გაატიტვლა ტფილისის ხაზი და ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ჩააგდო ქალაქი.

ტფილისს და მთელ საქართველოს, რომ ამიერ-კავკასიის ქიმერაზე არ ვილაპარაკოთ, დღეს დამცველად ქართველი ერი ჰყავს. რეალური მდგომარეობა მხოლოდ ქართულს დაუახლოვდა და ეს სინამდვილე უეჭველად სახელმწიფოებრივ სიმართლის სფეროშიაც ნახავს გამოძახილს.

საბედნიეროდ, განვლეთ ის დღეები, როდესაც ქტუალურ შემოქმედების უნარი თითქოს დაილევა, განვლეთ ჰიპნოზის და გულგრილობის წუთები. გამოვფხიზლდით, გავერკვიეთ და იმედია ხვალ კიდევ მეტ ზომასაც მივიღებთ ტფილისის ფრონტის გასამაგრებლად.

ჩვენთვის საჭიროა სულ ახალ გზების ძიება, ახალი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ომის დინამიკას დაუმყარებს და განავითარებს.

დიპლომატიით ვერაფერი გავაწყვეთ. წავაგეთ, მტერმაც მასხრად აგვიგდო, ტერიტორიაც ჩამოგვათალა. უმჯობესი მდგომარეობაც გაურკვევლდა დიპლომატიით, ამჟამად ცუდი მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო ველარ მოხერხდება. მტერის საქციელი წინადა წყლის მტრის საქციელს უდრის, არავითარი მეგობრობა და კეთილი ალღოს არაფის არ აქვს ჩვენთაბამი. ეს უნდა გავიგოთ და ან მას დავმორჩილდეთ როგორც მონები, ან ვიბრძოლოთ უკანასკნელ წუთამდე მტრის შესასუსტებლად და დასამარცხებლად.

რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, დღეს ყველასათვის აშკარაა შემდეგი: ჩვენი ტერიტორია ტერიტორია ომის საწარმოებლად ჩვენთვის ხელსაყრელია, ქობულეთ-ნატანებმა და ოზურგეთ-ვაშლნარმა დაგვანახა რომ ოთხმოციოდე ქართველ ჯარისკაცს დალუპვა ოსმალეთს დაუჯდა სამი ათას ას ასკერად. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისედაც გაჰიყვრებულ ოსმალეთს სინსილას გავაცლით თუ საქართველო, როგორც მთელი, იარაღში ჩაჯდება და სამამულისშვილო ომს გამოაცხადებს არა ომიდან ზავამდე, არამედ სრულს გამარჯვებამდე.

არაფისზე ნაკლებ არა გვაქვს წარმოდგენილი საქართველოს მდგომარეობა, ვიცით ეკონომიკის არსება, ფინანსები, სურსათი, ვიცით ხალხის ხასიათიც, მაგრამ ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ ბევრი „პარაჟენცი“ გვყავს დემოკრატების და სოციალისტების ქურქში დღემდე მათთან არშიყობამ დაგვღუპა.

საქართველოს შეუძლია ომი, ის ომის საწარმოებელ ყოველ წყაროს გაიჩენს, მაგრამ თუ ეხლანდელი სახელმწიფოებრივი დომხალი დარჩა მომავალ საქართველოს რესპუბლიკის დამახასიათებელი ერთ. წუთსაც ვერ გავძლებთ პოზიციის ერთ ალაგას.

ჩვენში შეიქმნა სახელმწიფო, მაგრამ სახელით და არა არსებითად. სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ვერ მოხერხდა „მუსსავათის“ და დაშნაკცუტიუნის გაიძვერაობათა გამო. ჩვენ იძულებული ვიყავით მათთვის ანგარიში გაგვეწია. მაგრამ საკუთარი სამშობლო, დამოუკიდებელი საქართველო ვიცით რაც არის. ეს ქვეყანა სოციალისტურ დემოკრატიის სამშობლოა და მაშასადამე სახელმწიფოებრივი საქართველო უნდა იყოს გახელმწიფება დემოკრატიისა. მხოლოდ სამშობლოსათვის მებრძოლი სოციალისტური ძალები—ის ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი მომავალ საქართველოს სიცოცხლეს, ამ ხაზზე არავითარ შერბილებას, არავითარ კომპრომისს, არავითარ ორჭოფობას ადგილი არ უნდა დაურჩეს. ვისაც ომის წარმოება ჰურს თავისუფლებისა და გამარჯვებისათვის—მხოლოდ ის ჯგუფები უნდა მოვიწვიოთ სამუშაოთ და გავაკეთოთ ძნელი ისტორიული საქმეები.

ბევრს გონია, რომ დემოკრატიას არ შეუძლიან ომის წარმოება. ეს არა თუ არსებითად არ არის მართალი, ისტორიულად ყალბი შეგნებაა. მეცხრამეტე საუკუნეში თანამედროვე მილიტარიზმის ბუდე დემოკრატიული საფრანგეთი იყო, რომელიც მთელ ევროპასთან აწარმოებდა საშინელ პირობებში ომებს.

დემოკრატიამ იცის რეფორმები და რევოლიუცია, მაგრამ ვისაც გონია, რომ თვით რევოლიუციის მცნებაში არ არის იძულების მცნება, რაიცა ახასიათებს სახელმწიფოებრიობას და მილიტარიზმს, უნდა ვსთქვათ, რომ მას საზოგადოდ ნაკლები წარმოდგენა აქვს პოლიტიკისა. დემოკრატია ხალხს მისცემს რაც საჭიროა, მაგრამ მიცემულის და მისაცემის დასაცავად იგივე დემოკრატია ხალხსავე მოსთხოვს სათანადო ზომების მიღებას. დემოკრატია ხალხს გარეშე მოქმედება კი არ არის, ხალხის გამოყენებაა და ქართული სახელმწიფომ უნდა შესძლოს ხალხის ფიზიკურ ძალის გამოყენება.

ყველამ ვიცით რა არის სახელმწიფოებრიობის აზრი. უძლეველი ნორმა მისი სულისდგმა და თუ დემოკრატიამ შინაურ მტერს იძულებითი ზომების საშუალებით წაართვა უფლებები, იგი დემოკრატია იძულებითვე შეეცდება გარეშე მტრის, უფრო დიდი მტრის, დამარცხებას და შინაურ ნაძირალების ალაგმვას.

დამოუკიდებელი საქართველო თანამედროვე ომის პირობებში უნდა გადაიქცეს დიდ ყაზარმად, სადაც მორჩილებით, გაგონებით, მუშაობით და მოთმენით უნდა ავაშენოთ ახალი საქართველო.

დღეს ჩვენს წინაშე დანგრეული, გაძარცული და გაპარტახებული საქართველოა. სისხლით, ძვლებით და ოფლით უნდა ავაშენოთ ეს ქვეყანა, თუ გვინდა თავისუფლება და ბედნიერება ვიგემოთ.

ამის მაგიერ დღეს ჩვენ საშინელ სურათს ვხედავთ ყველგან და განსაკუთრებით ტფილისში. ახალგაზდობის ყაზარმაში მოქცევის მაგიერ მომსწრე ვართ განსაცვიფრებელ ორგიისა. სიცილი, კისკისი, ლაღი სიხარული, სეირნობა, თამაში, გასართობები, საღამოები, საზარელ სურათს წარმოადგენს ოდნავად პატიოსან მამულიშვილ-მოქალაქესათვის. არავინ არ გრძნობს სამშობლოს განსაცდელს, არავინ ხედავს მტერს, არავინ არ განიცდის ჩვენს სამხედრო ტრაგედიას და არც არავინ უფიქრდება იმ აზრს, რომ ჩვენი ასეთი თავაშვებულობა, განცხრომა, ღრეობა და სიამოვნება სიბრაზეში აგდებს და სასოებას ართმევს იმ ჩვენს გმირებს, რომელნიც წელში მოღუნულნი აკეთებენ ჩვენსავე საქმეს.

დღევანდელი საქართველო ორგიის საქართველოა და თუ დემოკრატიას არასოდეს არ უყვარდა ორგია და განცხრომა დემოკრატიულმა საქართველომ პირველ ყოვლისა უნდა დახუროს, მოსპოს ორგიის საშუალებები.

საქართველოს მდგომარეობა სასაძიმრო მდგომარეობაა და ჩვენ უნდა გავიგოთ, განვიცადოთ ასეთი ბედი საქართველოსი. ჩვენ დღემდე არ ვიცით რა არის ომი, ჩვენში ჯერ არ გამოცხადებულა ეროვნული, მთელი საქართველოს ომი, ჯერ ჩვენ კუთხურ პოლიტიკით ვიყავით აღჭურვილი და ხალხი არ გამოგვიყვანია საბრძოლველად.

რაკი ზავს ველარ მოვაღწიეთ ვერას საშუალებით, რაკი უნდათ, რომ გლეხები ყმებად გადააქციონ და მუშები მონებად, რაკი უნდათ, რომ საქართველო მოსპონ სამუდამოდ—აშკარაა, ჩვენ ამ ბოროტ სურვილს გაბოროტებულ ნებისყოფით უნდა შევებრძოლოთ. გამარჯვებული საქართველო თვით ბრძოლის პროცესშივე ჰპოვებს იმ სალსარს და სიმდიდრეს, რომელიც საჭიროა ომის წარმოებისათვის.

მაგრამ სალსართა ეკონომიისათვის ეხლავე უნდა დაიხუროს ყველა გასართობი, კლუბი, ბევრი დაწესებულება, რომ დროებით მხოლოდ ერთი დაწესებულება არსებობდეს: ეს ერთი დაწესებულება ფრონტის ზურგის დაწესებულებაა.

ყველაფერი ომს! ყველაფერი გამარჯვებისათვის!

მიმოიხედეთ გარშემო: აღმოსავლეთით—ბურჟუაზიული სამაჰმადიანო, ჩრდილოეთით—ფეოდალური მთა-მაჰმადიანთა, დასავლეთით და სამხრეთი—მონარქიული ოსმალეთი. დემოკრატიულ საქართველოს ხულიგანურ ქვეყნების რკალი აქვს შემორტყმული და მისი გასრესა ყველა ხულიგანს გაახარებს.

ასეთს მდგომარეობაში მთელი სიმდიდრე ქართველ ხალხისა საქართველოს განმანთავისუფლებელ ომის სამსხვერპლოდ უნდა გამოვიტანოთ.

ჩვენ ომი ახლავე უნდა დავიწყოთ, დედების და დების ხელები გამოვიყენოთ, ავამოძრაოთ ყველა და მუხანათ მტერს გავაგებინოთ, რომ ომის დასრულების მაგიერ ჩვენ მოვითხოვთ ომის დაწყებას, ხოლო ოსმალეთს გაუჩნდება ახალი ფრონტი, უარესი მესოპოტამიის ფრონტისა.

ბრძოლის პოლიტიკით უნდა შეიცვალოს ორგიას პოლიტიკა და თავისუფალმა, დემოკრატიულმა საქართველომ დაამტკიცოს, რომ დემოკრატიას არა მარტო რევოლიუციაში შეუძლია გამარჯვება, არამედ ომის საქმეშიაც.

თედო ღლონტი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
„ამირანი“
იყიდება ამხანაგების მოურიგებლობის გამო. მიმართვა შეიძლება თვითონ რესტორანში, პუშკინის ქუჩა, ქართულ სემინარიის შენობაში. 550

ვისაც სუსუნატი (გონორეა) სტანჯავს, დაეჩქაროს მიმართოს მარტო ე. მ. აკოფოვს. საუკეთესო საშუალებაა. რაც მალე იქნება, მით უკეთესი. შეიარეთ მასთან 3-დან 7-მდე. ტფილისი კოსნოგორსკის ქუჩა № 3. ე. მ. აკოფოვი. 511

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 ([illegible] კბილის საექიმო). ტელეფონი 7—88. 518

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ჰაკლოვის ქუჩა, № 7. 2180

პურის 28 მაისიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროში გაიცემა პურის ბარათები ივნისისათვის. **ბარათები**
ბარათები მხოლოდ სახლის ორგანიზაციებს მიეცემა. მათ უნდა წარადგინონ მე-3 სერიის (აპრილის, მაისის, ივნისის) სასურსათო ბარათები და სარეგისტრაციო წიგნი. ბარათის ფასი 5 შაური.
საბარათო განყოფილება. 1178

საზოგადოება „იმედი“-ს
სასადილო
ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის სკვერის პირდაპირ.
გაუმჯობესებულია სამზარეულო,
პირველ ხარისხოვანი სანოვაგე, ამზადებენ ვახშამს, რუმინელთა სიმებიანი ორკესტრი საღამოს 8 ნახ.—12 ნახ. საათამდე. 551

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.
დღეს 28 მაისს გაიმართება
დიდი წარმოდგენა
სახელად „ნონ პლიუს ულტრა“, მონაწილეობენ პეტერსონი, ესმერალდო, იამოდასონი და ყველა საუკეთესო არტისტი. ანონსი: ამ დღეებში გაიმართება პ. ელიზაროვის ბენეფისი.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს., დასასრული 11 ს. 552

კოოპერატივების საყურადღებოდ
დამზადებულია დიდძალი ჩეკები
მისამართი: ბარონის ქუჩა № 14.
1174 სტამბა „სახალხო საქმე“.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს საღამოსამიერო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა სამკურნალოს საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვან[illegible]. ტელეფ. 6—11. 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „წიგნის“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ძ. კამკამში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე მე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცების 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს [illegible] ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
პავლე არდაზ[illegible]
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა [illegible]გან ავადმყოფთ, დილის 8—9 [illegible] საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 [illegible]ნი. 1002

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1175

ექიმ ნავახარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ზ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საზებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანცელარიის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14